

# თ მ ა ტ რ ი

საქონლე კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1889 ფელსი

№ 9

მარტი 5

გაზეთი ღირს: ერთიან წლ. 5 მან.,  
 ნახევ. წლ. ვ მ., ცალკე №-15 ქ.  
 ხელის მოწერა მიიღება: თბილის-  
 ში რედაქციის ფანცორაში. თიფ-  
 ლის, ვხ რედაქციი გავთი  
 „TEATRЪ.“ გაზეთი იხყოდება:  
 თბილისში, ჩარქვიანის წიგნის მა-  
 ღაზიაში და ბეჭუნვებს სააგენტოში.

რედაქცია არა კისრელობს წერი-  
 ლების უპან გაგზავნას და მათ  
 შესახებ მიწერ-მოწერას.

გაზეთში დასაბეჭდათ გამოგზავ-  
 ნლი წერილებს უნდა ჰქონდეს მო-  
 წერილი სახელი, გვარი და ად-  
 რესი დამწერისა.

## პასუხი ბ. „უცნობს“.

ხშირად მომხდარა, რომ ერთია და იმავ საგანზე ათს,  
 ოცს, ასე კაცს წარმოუთქამს თავისი აზრი და მათი ნათ-  
 ქვამები, რომ შეგვიძარებია ერთმანეთთან—გამოჩენილა,  
 რომ ერთის აზრი ეწინააღმდეგება მეორისას, მეორისა—მე-  
 სამისას და სხვ... შეაძლება ერთის აზრი მოსწონებოდეთ,  
 მეორისა—არა, მაგრამ, თუ ყველას თავისი აზრი წარმოუთქამს  
 გულწრფელ ად, ამ შემთხვევაში ვერ უთქვამთ იმისათვის, ვი-  
 სიც აზრი არ მოსწონებიათ, შენ საძაგლი ხარო.

ხოლო, თუ როდისმე მომხდარა, ან მოხდება, რომ ვინმე,  
 რომელსამე საგანზე დაიწყებს სჯას მიდგომით, ან თავში ერთს  
 გვეტყების, ბოლოში—მეორეს და ამ ბოლოს «გადასხვაფე-  
 რებს» რაღაც „პიროვნულობით“, რაღაც „მდაბალ განზრა-  
 ხებით“ მაშინ

ბ. უცნობი თავის „წერილში რედაქციისადმი“ („უ-  
 ატრი“ № 8) ჯერ დარიგებას გვაძლევს იმაზე თუ რედაქ-

როგორ როგორ უნდა იქცეოდნენ და შემდეგ გვამტყუნებს, კითომც ჩეენ, იმის «უკანასკნელს წერილს» მიეცეცით «სხვა ხასიერი», „გამოვიყვანეთ პიროვნულობა, როდესაც ის, უცნობი, ძალიან შორს არის ამისთანა მდაბალ განზრახეაზე“...

რადგანაც ბ. „უცნობის“ წერილი ცოტა არ იყოს შევასწორეთ, ამისათვის იძულებულნი ვართ მოვიყვანოთ უველა ის სიტყვები და წინადადებები, რომლებიც ან გამოვაკელით, ან ჩაეუმატეთ.

„უკანასკნელი წერილი“ ბ. „უცნობისა“ იწყობა ამ სიტყვებით: „აზრი დრამატიულ საზოგადოებისა, როგორცა ესთქვით ის იყო, რომ წესიერებაში მოეყვანა ქართული თეატრი და შეედგინა მუდმივი დაცი“. ამის შემდეგ ჩეენ გამოვაკელით:

1) „საქებრად დრამატიულ კამიტეტისა უნდა ესთქვათ, რომ ამ მხრივ მისი მოღვაწეობა კარგა თვალ საჩინოა—თითქმის მუდამ კეირას ჩეენს საზოგადოებას შეუძლიან დაესწროს ქართულ წარმოდგენაზე, ამასთანავე თვით პიყსების არჩევაში ბეჭრს ეერას უსაყვედურებთ, წარმოდგენების გამართვა მოახერხეს თბილისის საჟყვეთესო თეატრში, როგორიც არის ბანკის თეატრი. ყოველიერ ესე ცხადია და დასაფასებელი. თვით ის გარემოებაც, რომ ასე ხშირი შეტაკება აქვს კომიტეტსა თუ რეფისორს არტისტებთან, საბუთია იმისი, რომ კამიტეტის სურვილია განდევნოს ურიგობა, რომელიც ჩეენდა საუბედუროთ და სამარცხეინოთ ასე დასჩემებიათ ქართველ მოთამაშეთ. უნიჭიერეს არტისტთა განდევნა სცენიდამ აშკარად გვიმტკიცებს, რომ კამიტეტი სცდლობს მოთამაშეთა გაწურთვენას, ზნეობრიეს გამოკეთებას გალაზათიანებას“.

2) სადაც არის დაბეჭდილი: „შეუძლებლობა ამ საქმისა, გამბობთ გულის ტკენით, იმისი ბრალია, რომ ეხლანდელს რეფისორს სრულებით არა გაეგება რა თავის მოვალეობისა,

სრულიად უვიცია თეატრის საქმეში. ამის გარდა ჩვენი არ-ტისტები სხვა ყაიდაზე არიან აღზრდილნი», — ამის მაგივრ წე-რილში არის: „შეუძლევლობა... იმის ბრალია, რომ ჩვენი არტისტები სრულებით სხვა ყაიდაზე არიან აღზრდილნი?

3) სადაც არის: „ეხლანდელს რეფისორს უნდა ჩამოერ-თეს ყოველივე უფლება... აქ ჩვენ ჩავუმატეთ: „ეხლანდელს“.

4)... „რაკი ითავა საქმე (რეფისორმა), უნდა წინათვე ელოდოს მრავალ უსამოენობას რომელიც შეძლებისა მებრ უნდა აიტანს, აქ გამოვაკელით: „ან საკუთრივ გასცეს ყველას პასუხი სიტყვით იქნება თუ მოქმედებით“.

5)... „თუ აქტორები ერთმანეთს აწყენინებენ რასმე“... აქ გამოვტოვეთ: „დეე, თავიმც ქვისთვის უხლიათ“.—

ეს არის და ეს, არც მეტი და არც ნაკლები.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ეს წერილი, რომ-ლიდამაც ჩვენ მოყვანილი ადგილები გამოერიცხეთ, ან ჩავ-უმატეთ რამე, არის ბოლო იმ წერილისა, რომელიც «თეატ-რის» მესამე ნომერში დაიბეჭდა.

მაშ ამოვილოთ ზოგიერთი ადგილები ამ წერილიდამ, შევადაროთ «უკანასკნელ» წერილთან, — დაუახლოვოთ და-საწყისი — «დასასრულის» და გავიგებთ როგორა სჯობდა «უც-ნობისა უკანასკნელის წერილის» დაბეჭდეა: ისე როგორც წარმოვიდგინა, თუ ისე, როგორც ჩვენ შევასწორეთ და დავბეჭდოთ.

ბ. «უცნობია პირეველ წერილში (№ 3) სწერს: ვერ იქნა და დრამატული დასი ვერ დაუგა თავის დონეზე. ისე წელიწადი არ გავა, რომ ჩვენმა ერთი ბეჭრი თეატრმა სამ-ძიმო მსხვერპლი არ უძღვნას ჩვენს უმეტებას, ჩვენს უგუ-ნურებას და სრულებით წინ დაუხედავს, ვიწრო თავმოყვა-რეობას. ჯერ შარშან იყო და ქართულის სცენიდამ განა-ძეებს ისეთი სამური და მოსაწონი ნიჭი, როგორის პატრო-ნიც იქო და არის ყველასათვეს ცნობილი და დაუვიწყარი ბ. ალექსი-მესხიშვილი. ეხლა ხომ საშინელს განსაცდელ-

ში ჩაერდა ჩეენი საცოდავი სცენა იმითი, რომ კინალამ არ გამოგეათხოვეს იმისთვის გარსკელავს ჩეენის თეატრისას, როგორაც არის ყველას თვალში ბ. ვ. აბაშიძე. თუ დრამატიულ დასის ბედი დღევანდელს ყოფაში დარჩა, სრულებით ეკრანზე კაცს იმედი, რომ ამ ახლო ხანებში მოსახერხებული იყოს უკეთესი განწყობილება და უფრო შესაფერი წესი ჩეენის თეატრის მართვისა და გაძლიერისა... შემდეგ, თეატრის შპართელებს „დაბრმავებულებს“ უწოდებს და ამბობს: «თუ იქამდის უბედურებით შევიქნებოდით, რომ ბ. აბაშიძესაც ამოუქოლავდნენ თეატრის კარებს, მაშინ ჩეენი სცენა უფრო შუათანა დალაგანს» დაემსგავსებოდა, ყიდრე თეატრსა... შემდეგ მოგვითხოვთ რომ დრამატიული საზოგადოება იმისთვინ დარჩებულია, რომ წარმოდგენები წესზე დაეყენებინა და უფრო რიგიანი, მუდმივი გარდექმნა ჩეენი თეატრი... ამ საქმის სათანადო წასაპართებლად საზოგადოებამ ამოირჩია საკუთარი კომიტეტი, ჩაუყინა შიგ სარწმუნო კაცები, რომელთაც უნდა ეხელმძღვანელათ საზოგადოების სურეილით, მისის აზრით და გაეწივნათ პატრიონობა ჩეენის ნორჩის თეატრისთვის. კომიტეტმა ნიეთიერი მხარე თეატრისა თვით აიღო ხელში, ხოლო წარმოდგენების მართვა და აქტიორების ხელმძღვანელობა ჩაბარა რეფისორისა.

„მაკრამ რასა ეხედავთ? თეატრის საქმეები თანდათან დომხალივით. აირია, აქტიორები რეფისორის სისხლისა ჭამენ, რეფისორი აქტიორებს ემუქრება ჭიტლაყის ამოკერას, დაეიდარაბა, ვაი და ვაგლახი. გაუთავებელი უოანხმოება, დაუსრულებელი უსიახოენება! ყოველსაც ამას მოსდევს აშენა სისუსტე წარმოდგენებისა, კოქლობა თეატრისა. საზოგადოება ჰელდავს ამასა და გულგრილობის მეტს აღარას უჩვენებს ქართულს სცენას, აღარ მისდის გული ჩეენს თეატრზე“.

„როგორცა ჰელდავთ, საქმე ისე ცუდად წავიდა, რომ აქ გაჩუმება დიდ ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს ყველას, ვისაც კი ნამდვილად გული შესტკივა ქართულის თეატრის ბედილბალზედ“.

„უცელას ეხსომება, როგორ ბედნიერად დაიწყო თე-  
 ატრის სეზონი შარმა... მაგრამ მოპედა უსიამოენობა რეი-  
 სორსა და აქტიორს შორის, და ამ უსიამოენობის მსხვერპ-  
 ლად შეიქმნა ქართული თეატრი და ქართველი საზოგადოე-  
 ბა, ე. რ. დაითხოვეს სცენიდამ საუკეთესო ნიჭის პატრონი  
 ბ. ალ. მესხიშვილი. იქნება რეისორი-კი სრულიად კრიუ-  
 ფილი დარჩენილი ასეთის მსხვერპლით, მაგრამ ჩვენ-კი  
 დადი ზრალი მოგვიყიდა, ბეკრი დაქარგა ჩვენმა თეატრმა-  
 შემდეგს წარმოდგენებზე თანდათან იყლო საზოგადოებამ  
 სიარულე... „ალექსი-მესხიშვილის დათხოვნის შემდეგ წარ-  
 მოდგენებს ძრიელ თეატრსაჩინოდ მოაკლდათ ფერი, შენ,  
 ეში და ლაზათი. ჩვენი აზრით ა..-მესხიშვილის გაძევებამ  
 სწორეთ ყელი გამოსჭრა ქართულ თეატრს...“.

ეხლა ცხადია, რომ „უკანასკნელი წერილით“ სწორედ  
 ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც დავბეჭდეთ და არა ისეთი  
 „როგორიც წარმოგვიდგინეს“.

ეხლა ცუპასუხოთ ამოწერილ შესწორებულ ადგილებზე;

1) თუ დრამატიულ საზოგადოების აზრი იყო ქა-  
 თული თეატრის წესიერებაში მოყვანა და ამ მსრუც დრამა-  
 ტიულ გომიტეტის მოდგაწერა საქებარი და თვალ საჩინაა“,  
 მაშ რაზა არის: „საშინელს განსაკუდელში ჩავარდა ჩვენი  
 სცენა“... „თუ დრამატიულ დასის ბედი დღევანდელს  
 ყოფაში დარჩა, სრულებით ეკარგება კაცს იმედი, რომ  
 ამ ახლო ხანებში მოსახერხებელი იყოს უკეთესი განწ-  
 ყობილება და უფრო შესაფერი წესი წენის თეატრის მარ-  
 თვისა და გაძლიერდისა? თუ „სშინა შეტაქება ქაშიტეტისა,  
 ას რეჟისორისა არტისტებთან და განდევნა სცენიდამ უნი-  
 ჭირეს არტისტთა საბუთია იმისი... და აშენდა გვიმტებ-  
 დებს, რომ ქომიტეტი სცდილოს მოთამაშეთა გაწურვენისა,  
 ზნებორიეს გამოკეთებას გაჯაზათაანების“, — მაშ რადას ნიშ-  
 ნაეს, ან რას გვიმტებდებს: „ისე წელიწადი არ გავა ამ ბო-  
 ლოს დროს რომ ჩვენმა ერთი ბეწო თეატრმა სამძიმო

მსხვერპლი არ უძლვნას ჩვენს უმეტებას და ეიწრო თავმო-  
ყვარეობას. ჯერ შარშან იყო და... ალექსი მესხიშვილი განა-  
ძევს სცენიდამ... და თუ იქამდის უბედურები შევიქნებოდით,  
რომ ბ. აბაშიძესაც ამოუქოლავდნენ თვატრის კარგებს, მაშინ  
ჩვენი სცენა უფრო შუათანა „ბალაგანს“ დამსგავსებოდა, ვიდ-  
რე თვატრის?

2) პირველი წერილის, რომ არ იყოს აი უკანასკ-  
ნელ წერილში რა არის ნათქვამი: «თუკი კომიტეტი იმოდენა  
ფხას გამოიჩენდა, რომ ყოველს აქტიორს და აქტრისას შეა-  
ყვარებდა საქვეყნო საქმეს (თვატრს), მაშინ ჩვენი დრამა-  
ტიული კომიტეტი რეფისორითურთ ხელით სატარებელი იქ-  
ნებოდა»... მაგრამ „შეუდგა თუ არა კამიტეტი საქმეს, იმ  
თავითვე... დადგა ისეთს გზას, რომელიც არა თუ გამოაკე-  
თებდა ჩვენს არტისტებს, პირ იქით უფრო ცუდს ფერს მის-  
ცემდა მათს გაუწვრთნელობას... აქტიორმა შეუბრუნა სიტყვა  
რეფისორს და ისიც გაწიწმატდა, შეფხურიანდა, თავი გამო-  
იდოვა... განა აქ მოყვანილი სიტყვებით ამასვე არ ამბობს  
ბ., უცნობი, რაც ჩვენა ვთქვით?

3) ჩვენის აზრით ეს ადგილი ძალიან ბუნდათ იყო გა-  
მოყანილი, განა შეიძლება რეფისორებს, საზოგადოდ, ჩამო-  
ერთვას ყოველივე უფლება?!!

4) „საკუთრივ გასცეს პასუხი სიტყვით ან მოქმედე-  
ბით“ და

5) თუ აქტიორები ერთმანეთს აწყენინებენ დეე, თავიმც  
ქვისთვის უხლიათოვა... ჩვენ ვერ ეურჩიეთ, რომ რე-  
ფისორს თვატრში კრიი გაემართა, აქტიორ აქტრისები ეცეს  
და ან, ამ უკანასკნელთ, ქვისათვის თავები ეხალათ.

### აქედამ სჩანს:

1) რომ პირველი ადგილი პირდაპირ ეწინააღმდეგება,  
იშას რაც ბ. „უცნობმა“ თქვა პირველ წერილში, ე. ი.  
ბოლო ეწინააღმდეგება თავს. ამისათვის არ დაებეჭდეთ,  
გამოვტოვეთ.

2) რომ, როგორც ზევითაც მოვიყენეთ, წერილების ავტორი მასევ ამბობს, რაც ჩვენა ვთქვით. აქ განსხვავება მარტო იმაში არის, რომ „უცნობს“ უნდოდა, რაღაც ახალი მიზეზების გამო, ცხადად არ გამოეთქვა თავისი აზრი. ჩვენ, მოყვანილი ადგილებიც რომ არა ყოფილიყო, ვიცოდით „უცნობს“ აზრი ეხლანდელ რეეისორზე; ამის გარდა ჩვენის აზრით, საქმის (რომელზედაც ავტორი ლაპარაკობს) გაკეთებაც და გაუუქებაც რეეისორზეა დამოკიდებული და ამისათვის საჭიროდ დავინახეთ დაგვემატებინა ის ორიოდე სიტყვა... რომ „უცნობია მართლაც ამავე აზრისა არის რეეისორზე, მოვიყენთ იმის წარწერას კარიკატურაზე: ორი კაცი ლაპარაკობს აბაშიძის ტრუპიდამ დათხოვნაზე („თვატრია“ № 1,—გვ. 8.): „გაიგვ აბაშიძის ტრუპიდამ დათხოვნა?“

— მაგას ვინ არ გაიგებდა! მოსალოდნელიც იყო. რაც უნიჭოა არტისტი, მით უფრო ადგილად უზამ თავს, საითაც გინდა. როგორიც რეეისორია, იგეთიც ტრუპპა იყოს. როგორიც ალხანაო, იგეთიც ჩალხანაო,—ნათქვამია“.

3) რომ „უცნობია“ საზოგადოდ ამბობს; „რეეისორს უნდა ჩამოერთვას ყოველივე უფლება“, — ეს დიდი შეცდომაა. ჩვენის აზრით, თუ რეეისორს კარგათ ესმის თეატრის საქმე, ვერა უფლებას ვერ ჩამოაჩიმეთ; მაგრამ „ეხლანდელს“ კი შეიძლება ჩამოვართვათ, ... როგორც „უნიჭოს“, საქმის არა მცოდნეს და ამისთვის ჩაეუმატეთ, სიტყვა: „ეხლანდელს“.

მეოთხე და მეხუთე ადგილებზე პასუხის მიცემა საჭირო არც კი არის: კრიტიკების და ქვაზე თავის ხლას, თუმცა ბ. „უცნობი“ ურჩეეს, მაგრამ... პოლიცია კი უშლის.... ამით ვათავებთ ჩვენს წერილს.

ჩვენ მივეცით პასუხი ბ. „უცნობს“ იმისივე წერილებიდამ ამოღებული სიტყვებით და, ბოლოს მოვახსენებთ, რომ რედაქცია არ შედის განხილვაში, თუ „მოჩივარს“ რათ

მოსელია ასეთი შეცდომები: საქმის დაუკვირვებლობით, თუ ჩაიმე განზრახვით... ჩენენმა რედაქტორმ „გადაავლო თვალი“ ბ. „უცნობის“ წერილს და შეძლებისამებრ, „შეცდომები აცილა“.

ანთომოზ გოგლიჩიძე.

### აღსაჩვენებელ.

პსიხოლოგიური აღწერა.

(თარგმანი რუსულიდან).

(გაგრძელება).



ე, რასაკვირველია, კრდილობდი დაახლოებას იმისთანა პირებთან, რომელთაც ჩემისთანა აზრები, რწმუნებასი ჭირნდათ და ჩემისთანა ცხოვრებას აწარებდნენ. მთელი სანი მათთან დაახლოებას ჩემთვის უბედიერესი დრო იყო. მაგრამ, სადაც უზენაესი ბედნიერებაა, იქ უბედურობაც ახლოა... მე არ მასსოდეს, როდის ან რა შემთხვევის გამო დავითე ერთი უდიში იმ სასმელისა, რომელიც ეჩლა თითქმის მოთხოვნილებად გადამექტა; ვიცი მხოლოდ, რომ იმ დროს როდესაც მე გიმნაზიაში გამოფენილი, არა ერთხელ თავს მოვიყოდით ერთად ამსახავები და დუღით, ან დვინით დავამთავრებიდით მეგობრულ საუბარს. ჩოგორც თქმენც მოგეხს სენებათ, ჩენის სიცოცხლის იმ უბედიერესს, საუკეთესო ხასში, უოკელს ჩენთაგანს თავისი მწესარება, სეკდა ქონდა. ჩვენ უკმაყოფილების გამომჟღავნება არ შეგვეძლო, ჩვენ ვიცნობდით სტუდენტებს, რომელთა ცხოვრება, გვეგონა უფრო თავის უყინადი, გონიურული იყო. მხოლოდ არა ერთხელ მოხდებოდა

სოლმე ისინ, რომ მათ თავისებ სეირნობას და შემცირას მოწევებ-  
 ბოდა ის შედეგი, რომ უოკელ უბედურებასთან და სიღატაგესთან  
 შეიძლოდ ისკერდნენ კავშირს. დაუახლოვდით რა სტუდენტებს,  
 ჩენ არათერი აღარ გვასხვდა, უოკელ დღიური კარამი და ცხოვ-  
 რების კითხვები უკეთ მივაკიწევთ, კონტროლის მხოლოდ  
 ბედნიერებაში და მხარეულებაში. ისე გატარებულ საზამოების  
 შემდეგ მეორე დღე ჩენთვის ძლიერ სამიმო იყო. მე იმ დროს  
 იმდენად უიზიერო ტანჯგა არ მაწუხაბდა, რამდენად სინიდისი,  
 რომელიც ჩამჩრებულებდა, რატომ დაივიწევ, თუნდ ერთ წევთსაც,  
 შენი ქაცობრივული ღირსებათ. მაგრამ ამასთანავე, მეტადრე მშინ,  
 როდესაც გამოვიყხიზღვებოდი დგინდს სმას შემდეგ და თავიც  
 განთავისუფლებოდა იმ ტკირთისაგან, რომელიც ტეგიასავით  
 აწეა მას, მომაგონდებოდა ხოლმე რომელიმე პატარა, კომლიანი  
 ღთახა, სადაც გაისმოდა მხიარული, უზრუნველი სიცილი და ღა-  
 ძარაკი მართალთა დაძინებითა, შეკრთებულთა ჭეშმარიტ, მტკიცე  
 მეგობრობით.

უნებლიერ წაკიდოდი სოლმე ისევ იმათთან. მე ვიცოდი, რომ  
 ჩემის ამ გვარ საქცევით მმას შეუადგესეთვას კაუნებდი, მწუხა-  
 რებაში კაგდებდი, მაგრამ რა მექნა, როდესაც ჩემში ცოტნებას  
 ძალზედ გაედგა უესები და გარდა ამისა, როგორც მე მეგონა,  
 ჩემი ძმა არც იძლენად მართალი იყო, როდესაც მისაუკედარებდა  
 და მეოცხავდა ამ, კითომდა, ცუდ უოფაშეცვისათვის... ან-ეი, ერთი  
 მიბრძანეთ, რა ბრალი მედვა მე? ნუ თუ მე არ კასრულებდი ჩემის  
 მოვალეობას, ნუ თუ მე მქონდა გულში რაიმე ცუდა განზრასკა,  
 ნუ თუ მე იგივე მართალი კაცი არ ვიუავ და ნუ თუ რასაც მე  
 წინებ დანაშაულად, სიბრძოლურ კრაცხვდი, იმას ეხდა თავებას  
 ვცემდი?.. არა, უპელაშერი უწინდელებრ იყო ჩემში, და ან რათ  
 უხდა დაუსდოთ სრალი კაცს იმისათვის, რომ იგი, შეიძლება,  
 თვეში ერთხელ ან თრგვერ გადუდგეს თავის ცხოვრების ჩეკუ-  
 ლებრივ მიძღვნარებას...

ამასთავაში დროც გავიდა, გიმნაზიაში კურსი გავათვე და  
 შეკედი უნივერსიტეტში. ვინც ჩენ წრეს არ ჰყოვნოდა, არა ჩეკ-

უღებრივ არსებად არა მრაცხდა. გიმნაზია გავათავე უშედდოთ;” უნივერსიტეტშიც, თუმცა დაუსრულებრივ გადავდიოდა ერთი კურსიდამ მეორეში, მაინც-და-მაინც არაფრით არ გამომიჩნია თავი. როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში ჩენ შევადგინეთ წრე იმისთვის პირთაგან, რომელთაც ერთი და იგივე ინტერესები, მიმართულება ჭირდათ. რა წესდომა ამ წრეში, მე არ ვიტევი. იური იგივე სკა, იგივე კითხები, იგივე შესხდულობაა აე-გარგა-ზედ... მსოდნოდ ესლანდელი მსჯელება უფრო მეტის საკებით, მეტის გამოცდილებით და მეტის გარკვევით შემუშავებული იყო, აზრები გონიერი და უფრო საფუძვლიანი და სხვაში თითქმის არაგითარი განსხვავება არ იყო. როგორც წინედ, ესლაც ხშირად კლემდით თავანის ბასუსს და გავაძამდით ხთლებ ერთხესს გულითად საუარს. ჩენ ძლიერ ხშირად შევიტრებოდით ხთლებ ერთად და თუმცა ბევრს გსეამდით, მაინც არას დროს ისეთს ცუდს არას ჩა-გიდენდით, რითაც, შეიძლებოდა, ჩენი სახელი შემწიდვლულიერ...

თავისუფალი დრო ბევრი გვითნდა უნივერსიტეტში; მე ვი- გავი იურიდიულს ფაკულტეტზე და, მართალი მოგასხენოთ, სა- უნივერსიტეტო მეცნიერება, ანუ უკედ რომ კსოვებათ, მისი წარ- მომადგრენელი დიდად არ იზიდავენ ჩემს უურადღებას. როდესაც ამ უმაღლეს სასწავლებელში შევდი, დიდი მიზნები მიტოადებ- და თავში. ჩემის ჭიშათ მთელი იურისპრუდენცია ჩემებურ უნდა ამეგო და დამეჯუმნებინა იგი ბუნების სწავლაზე და, ჩემ ფანტა- ზიაში წარმოდგინილი მქონდა, რომ მე მოძავალში სახელ-განოვემუ- ლი მეცნიერი გაქნებოდი. რასაც ირგვლივ ეს ოცნებები ოცნებებად დარჩეა... მაგრამ სკოსს დავესხსათ ამაზედ დაპარაგას: გვარებ- არც თქვენთვის არის ეს დიდად საინტერესო. მე მოგასხენეთ ამაზე და მსოდნოდ იმიტომ, რომ მინდოდა დამენასტრინა თქვენ- თვის, რომ მე სასტარკეოლებაში უნდა ჩავარდნილიყო და ხე- ლი ამეღო როგორც ჩემ თავზედ, ისე იმ პირებზედ, რომელთაც, როგორც ჯემსარიტ მოდნებას, წინედ რაღაც კრძალვით გვაუ- რებდი.

ამ სასოწარ გვეთილებით მე მიგატოვე უნივერსიტეტი და შევ-  
ტოპე მღელების მით საკეთ ცხოვრება ში. უკალი წინასდელი ამხა-  
ნა გვები ჩენ სამშობლოს სხვა და-სხვა შორეულ ადგილებში დაი-  
ფარების. ქალაქი №, სადაც მე წილად მსვდა ცხოვრება სამსახუ-  
რის გამო ერთ ახლად გააღმულ სასამართლოს დაწესებულებაში  
არაფრით არ განსხვავდებოდა რესენტის სხვა ქალაქებიდგან. იგივე  
დაუსრულებელი ძილი საზოგადოებისა, იგივე ღრმულება წერილ-  
მან, ეგიასტერ მძინებისადმი, იგივე ზრუნვა სმა ჭამაზედ და  
დაურღვევებელი მშვიდობისათვა ტეინისაჲ. ის ახალი სასამართლო,  
სადაც მე გმისასურებდი, მაღვე უოკენააირ მანქანების ბუღეო გა-  
დიქცა ამისთანა შირების წერალობით, რომელთა მოვალეობა იყო  
სალისათვის უნიგენო სამსახურის მაგილითის მიცემა... მოუღი  
საათები მოუნდება, რომ მოგითხოთ უკედა ის, რაც უგვანობა  
და არეულობა სუფერა იმ სასამართლოში, რა უსამართლობასაც  
იღენდენ როგორც დიდი ბობოლაქები, ისე უკანასკნელი მწერლები.  
მე ვიცი, რომ ათასობით არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც  
ისე იწყეს ცხოვრება, როგორც მე, როდესაც გერ შეებრძოლენ  
ცხოვრების საზოგადო მსვლელობას და ამიტომ მუხლიც მო-  
იდრიბეს მის წინაშე ხლოდ ჩემში იმ აზრებს, რომელნიც მე  
ხამაგრეს სიუმაწვილები, ისე ძალზედ გაედგათ ფესტები, რომ  
ვერას გზით ვერ მოკავსდი სინამდვილესთან. მე გულგრილად  
არ შექმედო მისთვის მეტეირნა, იგი მათგრითხმდა, მარწმუნდა...  
მე გვრჩნობდი უქმაუთილებას, ჩემ გულში იღვიძებდა სხვადა-  
სხვა სურვილი, მაგრამ არ ვიცოდა-ვა რას ვერტებდი. მე მსურდა  
როგორებე მოკრიბებოდი ცხოვრების სინამდვილეს, მენახა იმის-  
თანა კაცები, რომელთათვის შექმედებოდა ჩემი აზრების და იჭიმ-  
ბის გაზიარება, მაგრამ სწორებ ამ ღრის ვიგრძენ მარტობას,  
ჩემ გარშემო ერთიც არ იყო იმათთაგანი, რომელითანაც შეიძლე-  
ბოდა მე გამეტარებინა საუკეთესო დრო ჩემის ცხოვრებისა; ერთი  
არ იყო იმისთანა, რომელსაც მსარი მიეცა ჩემ შეუკეულ სული-  
სათვის, რომელსაც გაკრიზომოდი უკედაფერში, რომელსაც ვაცნ  
და არ მოეცა ჩემთვის ჩეხა აგმიგრადი იმ გზას, რომელსაც აქა-  
მომდე მტკიცებ ჭადები.

ფიქტში ცხრავდად მესატებოდა წარსული, დირს საგონიერდი დორ, მე გიგანებდი ჩემს მეგობრებს, რომელთაც ჩემსავთ ნათელი, ჰემარიტი აზრები უდივოდათ... სადღა არან ესლა ისანი? სადღაა ის დაუცხრომელი, მხიარული საუბარი; ესლა რატომ არ ისმის ის დასაბუთიანებული, აღტაცებით სავსე დაპარტეზი? ეს უკედაფები გაქმნა და დაკრჩი მე მარტოდ. მწუხარებით და სეკვდით მოცული იყო იმ დროს ჩემი გული და ჩა ერთხელ განერიზასე კიდეც ბოლო მომედო იმ სიცოცხლისათვის, რომელიც, მეგონა, აუტანელი იყო ჩემთვის. აა ამისთანა მდგომარეობაში მივმართავდი ხოლო იმისთანა საშუალებას, რომელსაც შეეძლო დაეწენარებინა ჩემი აღგზებული ნერვები. დვინო იყო ის უქარი წამალი, რომელსაც მე მივმართე და რომელიც, არა ერთხელ, მხიარულებით მომავალებდა წარსულ ცხრავებს. წინად არას დროს ფიქტშიც არ გამიტარებია, რომ მესვა ღვინო მხილად იმიტომ, რომ დაკიმოვრალიყავ. ეს მე დად უგუნურებად, ზნეობის დამარცველ საჭიროებად მიმაჩნდა. ესლა, შემდეგ სეღდიერ ტრიჯვის და უოკელნაირ შეურაცხეოვაში გატარებულ დღისა, ხშირად, საღამოობით კავეჭ მარტოდ ჩემ თახეში სტრუდის წინ... აა ამ გაზარებულ მდგომარეობაში მეწვა მე უბრდურება, რომელმაც შექმუსრა ჩემი ძალა-ლონე და ჩამაგდო უკადურუსს უოტაში — მომიკვდა უფროსი ძმა, რომელიც როგორი კსოვები, იყო მეორე მამა და საუკეთესო მეგობარი და რომელსაც მიტემართავდი ხოლმე უოკელოვის გაჭირვებისას. მე კერას გზით ვერ შეკატებ ამ შემთხვევას. ის ნიადაგი, რომელზედაც მე ვიდეს, გამომერალა, დაკრიი გამოურკვეველ მდგომარეობაში და ვგრძნებოდა, რომ ჩემი აზრები თანდათან უფრო ისლართებოდა.

(დასასრული იქნება)

## ბრილიანტი

ტრიადი-კომიდია თას მოქმედებად, თხზულება თ. რ. ერისთავისა-

(გაგრძელება)

### გამოცვლა 4.

იგინივე და იოვანე ჭრაქოვიანი.

იოვანე. (შამოვა და კეკელუას რო დაინ ახამს ნამტირა-  
ლენს, ბალდასარას) ეს ინს საპარე?.. რა ამბავია?.. (კეკელუა)  
კეგე-ჯან, ტირი?..

კეკელუა. (თვალებს იწმენდს; თავს უკრავს იოვანეს).  
არა ბიძა-ჯან!!! (მიღის მეორე ოთახში).

იოვანე. (კეკელუას) მოაცა, სად მიხეად?.. (ერთი გავიგო,  
და, რა ამბავია?.. (კეკე გავა).

### გამოცვლა 5.

იგინივე კეკელუას გარდა.

იოვანე. (ბალდასარას). ტო, ახმას!.. ახარ, რაზედ ჭედაშ  
მაგ ქალა?.. რასაც ამბობენ, მაშ მართალი ყოფილა?!!..

ბალდასარა. რას ამსონ, რას!.. ვინ მომიკლამს?.. გერა  
ჭედამ, რომ ცოცხალია?!!..

იოვანე. ცოცხალია, რომელია?.. ტო, უურუმსაღო, კერა ვე-  
დამ, რომ თეალში ჩინი ადარა აქვს?.. მე თითონ რა ვედამდი,  
რომ ტირიდა?..

ბალდასარა. ვა! ჩემმა ცოლმა იტიროს, შენ რა? (იქით).  
ტუტევრი... (იოვანეს). მერე ქალის ცრემლებს ვინ დაგუბებს?..  
ტირილი იმათი ხელობა არ არის?..

იოვანე. ისე ტუშილათ ტირილი?.. გაჟევე?.. ამითბენ თუ მშეკრძალავ... გა! ჩემ დის წელზედ არა კოქტერა?..

იოვანე. გა! ცარიელი ჸარქებტა?!.. განა აგრე აზიზათ გა-  
გვიხვდის...

ବାଲ୍ମୀକିରୀଙ୍କ... ପ୍ରାଣଦେହରେ... ପ୍ରକଳ୍ପରେ... ତାମରିନିଃ ଶୁଣି, ଲୋଭିତାରେ  
ଏହି ମୟ୍ୟାନିଲୋହ... ଶୁଣିପାଇତ ଲୋହରେ... ପ୍ରକଳ୍ପରେ... ପ୍ରକଳ୍ପରେ...

ପ୍ରକାନ୍ତରେ ମାତ୍ର ଏହାପାଇବା ପିଲାଙ୍କରା?

ბალდასარია. მოდი აქ დაკეტ და მე გიამშობ კულაზეს...  
(დასხდებიან).

ପ୍ରକାଶନ ନଂ. ୧୯୯, ଡିସେମ୍ବର!

ბალდასარია. ახშერ, შენი დისტული კეკელუა მომდგომად  
თუუ, შეფეხუანი კახები მინდა, მუშტაიდში კეიპაჟით სიარულით,  
(სხაპა სხუპით) კლუბით, მართვისათ, ჩუღები, საშმაცი, შლაპა,  
ბრასფერებით, თრიატრიო!... რა ვიცი რაძლენ ნაირი ჯანდუუ-ხათაია!..

ମୁଦ୍ରାନ୍ତର. ୩୫, ୩୫, ୩୫!..

ଦ୍ୟାନିରୂପାବଳୀ, କିମ୍ବା ଶର୍ମିଲୀ, ମାତ୍ରାକୁଣ୍ଡଳୀ, ଶାମତୀଜିନ୍ଦଗୀଙ୍କୁ...

ମୁଦ୍ରଣ ନଂ ୩୫, ୩୫, ୩୫! ..

ბალიასარა. კიდენ: მაცხილებში მარტო სიარულით!..

ଓର୍ବାନ୍ ଏ. ମାର୍କେଟ୍..

ბალდასარია. მერქ რა?.. თუ ასე იქნებათ, სომ კაცებით, თუ  
რა და დედასთხისა უნდა წავიდოთ...

ଓର୍ବାନ ହେଲା କିମ୍ବା... କିମ୍ବା?..

ბალდასარა. მერქ, მეც უთხარ, თუუ... ერთი სამი ღლეც მო-  
მიცვალე მეოქმ და რამეს გასარებ მეოქმ...

କୋଣାର୍କ. ଶାମି ହେଉ କଥାରୀ?.. କା ଜ୍ଞନୀ ଏକାର୍ତ୍ତା?...

ბალდასარა. მოიცა. შე სომ ჩემი კურ არა იცი-ოდა?..

ଗୋପନୀୟ କୁ ମୁଦ୍ରଣକେନ୍ଦ୍ରୀୟା, ଶାଖା ପ୍ରକଳ୍ପିତ ପରିଷଦୀ ସଂଗଠନରେ ଥିଲା ଯାହା...

ბალდისარა. უკრი დამიგდე... გიამბობ... შენი დისტაცი მა-

გეღუა, ომ შევიწოდე, მაშინ ჩემი ლაპახიც, ერთი რამ იყო...  
 ხომ იცი?..

იოვანე. დაას... .

ბალდასარა. ბაზაზის დუქანი მქონდა გაჩაღებული ბაზაზ-  
 სანში... ერთი გარები სახლიც ჩარჩო საზარშიიღ... ჩვენს მეზო-  
 ბელს, გარაპეტანთ გეუასაც, გარები სახლი ჭრინდა იქვე...

იოვანე. ეგ რათ მინდა, ომ მიამოა?.. მე რა იმის დავას  
 გწევ... .

ბალდასარა. მოიცა და, მამაცხონებულო... .

იოვანე. ეჭუ!.. .

ბალდასარა. თურმე, ამ ჭარამზადა გეუამ, თავის სახლი  
 სტრასში შაიტანს, წაუკიდოს ერთს დამეს ცეცხლი და ჩემი  
 სახლიც ზედ მიატანოს!.. იმან ფულები ჩაიხსრიალა, მე კი ნა-  
 ცარზე დამსორო!...

იოვანე. წელან აკი გითხრამდი ახშახი ხარ მეთქი!.. ტო!  
 შეეყანა სტრასით მდიდრდება და შენ კი სტრასშიაც არ შაიტანე  
 შენი სახლები?.. აფსუსი არ არის?.. ახმას, ახმას!..

ბალდასარა. რა გწეა, მმავ!.. ასე კი მოხდა და...

იოვანე. მერე?..

ბალდასარა. ახლა დუქნის საქმე... გზივარ ჩემთვინ და კვაჭ-  
 რობ... სულს ქვეშ უნდა გითხრა, მმავ, ეს არის აბრუსის კებ-  
 ლე დუქნში, თორუე, სად იყო გაჭრობა?.. კველას დუქნი გაუ-  
 დია და მეიდეველი კი აღარ დარჩომილა... ნაღდ ფულზედ მეიდ-  
 ელს ხომ ფარნითაც კედარ იპოვნი... შამოილეს ყარტა-უურტა  
 საქონლის, რაღაც იაფობა, მაგრამ არც არა იქიდგან გამოღნა...  
 მეც აკდექი და სხვებსავით ნისიათ დაკარიგე საქონელი, კემსილე-  
 ბით... უუურებ კადას სად არის, იუული!.. ზოგი გორელებმა შა-  
 მიჰქამეს, ზოგი სიღნაღელებმა — და დავოჩი საქტა!..

იოვანე. ახმას, ახმას!..

ბალდასარა. მოიცა და...

იოვანე. ტო, რამთვინ იღამერა: კა?

ბალდასარა. გამათაკებინე და...

ოოვანე. ჟჭვა!

ბალდასარა. მერქე, ერთი იღბალს უუკრე და!.. იმ წინა ხა-  
ნებში, კიდენ, ერთმა ჩვენიანმა ვინძემ პირუხილელათ დამატენა  
ბანგში, ფული აღარ შაიტანა გადაზედ, წამომარეს და დანარჩენი  
გი გამიუდეეს!.. ჩემი პიგელუას მშიოვეგიც შიგ გაიჭედილაა!...

ოოვანე. კა, კა, კა!.. კაი ქუ ითეანინ!.. მერქ ცოდის სა-  
სელზედ კერ დაამტკაცე საქონელი? ან უასიდათ თავი კერ გა-  
გოტრე!

ბალდასარა. ინე ასუმე!.. კოტორი არ ვიუკი, რაღა  
მჭონდა?

ოოვანე. მერქ?

ბალდასარა. მერქ კიდენ დავი დარაბა გამიჩნდა.

ოოვანე. რაზ!... გაუე!.. ბიჭო, დაკიდარაბა რათ მინდა?...  
კედემ ქალი მოგიყდამს შემშეღით და სიტირევლით!..

ბალდასარა. (წამოხტება გაცხარებული) კა!.. აგრე ხომ  
არ იქნება?!.. კერ ერთი მათქმევინე, და!.. არ გამათავებინებ?..  
ტერ ასტრეცა!

ოოვანე. (წამოხტება) რადა უნდა თქვა მეტი?.. შენი თა-  
ვიც დაგიღუპამს, შენი ცოლიც და შენი ოჯახიც!..

ბალდასარა. ახშერ!.. არ მათქმევინებ?

ოოვანე. გაუემა?.. ბიჭო, მეტ რაღას იტევი?..

ბალდასარა. გამათავებინე, და!..

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი და გამომცემელი ალ. ვებიერიძე.